საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/118

16 სექტემბერი, 2020 წელი ქ. ბათუმი

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წელისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №01-02/99 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების,სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის ი.ქერქაძის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წელისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №01-02/99 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით;

,,2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს მაგისტრატურაში მიმღებ კომისიაში, 2020 წლის 31 აგვისტოდან 4, 17 და 18 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, 1-ლი კორპუსი, ოთახი №19.“

3. მაგისტრანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება **(დანართი № 1)**

ბ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

გ) ერთიან სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის მიმღები კონკურსანტის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;

დ) ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - უნივერსიტეტის მიერ დამოწმებული, ხოლო 2020 წელს კურსდამთავრებულთათვის -ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე), უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე, ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).
თ) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა.
4. დაევალოს კანცელარიას განათავსოს ბრძანება კანცელარიასთან და ფაკულტეტებთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის ვადების გახანგრძლივების შესახებ განაცხადი განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. წინამდებარე ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი *მერაბ ხალვაში*

№1 დანართი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორს,

მოქალაქე ----------

(სახელი, გვარი)

ფაქტიური მისამართი ----------

რეგისტრაციის მისამართი: ----------

პირადი ნომერი: ----------

ტელ: ---------- (ბინა, მობილური)

ელ. ფოსტა: ----------

განცხადება

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ----------
ფაკულტეტის ----------
საგანმანათლებლო პროგრამაზე.
უცხო ენის მისაღებ გამოცდაზე ჩავაბარებ ---------- ენას.
(მიუთითეთ უცხო ენა)

დამატებით გაცნობებთ, რომ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ჩაბარებული მაქვს ----------ტიპის ტესტი.

დანართი - ------- ფურცელი.
განმცხადებელი:

------- ----------, 2020 წელი.